პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 14 თებერვალი, 1943 წ. № 37 (6662). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, წითელი არმიის გამარჯვებებით შეპყრობილნი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის ბრძანებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტი აღმაფრენით ეხმარებიან ფრონტს თავიანთი თავდადებული შრომით, თავიანთი გმირული ღონისძიებებით. წითელი არმიის 25 წლისთავის დღეს ფრონტიცა და ზურგიც—მთელი ჩვენი ქვეყანა—დიდი გამარჯვებებით ხვდება.

„პრავდა“

მძლავრი დარტყმები მტრის წინააღმდეგ

ტელეგრაფის ცნობამ კვლავ აღავსო მხურვალე სიხარულით საბჭოთა ადამიანების გული: ჩვენმა მამაცმა ჯარებმა ფაშისტი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს კრასნოდარი, შახტი, კრასნოარმეისკოე, ვოროშილოვსკი. ბრძოლა სწარმოებს, ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება...

ასეთ ზამთარს როდი მოელოდნენ ჰიტლერელები. რაკი წითელი არმიის ოლადისებურ წინააღმდეგობას წააწყდნენ და საბჭოთა სამშობლოს დამცველთა ურყევ სიმტკიცეში დარწმუნდნენ, გერმანელები გაწვნენ, ვით მხეცები ახალი ნახტომის წინ. ჰიტლერელ უყაჩაღებს იმედი ჰქონდათ, რომ გამოზამთრებდნენ, ახალ ძალ-ღონეს მოიკრებდნენ. წითელმა არმიამ გააცამტვერა ჰიტლერელთა გეგმები, უკუაგდო გერმანელ ფაშისტთა ურდოები და დასავლეთისაკენ გარეკა.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ხალხი აღნიშნავს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 25 წლის თავის სახელოვან თარიღს. ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალები სერიოზული საბრძოლო წარმატებებით ხვდებიან. მტერს უდიდესი ზარალი მივაყენეთ. აღგვილია პირისაგან მიწისა, გაელეტილია და ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის უდიდესი დაჯგუფება სტალინგრადთან. საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტის უმნიშვნელოვანეს უბნებზე გარღვეულია მტრის თავდაცვითი ხაზები, ხელში ჩაგდებულია დასაყრდენი ზღუდეები და გამაგრებული კვანძები, ფაშისტთა ულლისაგან განთავისუფლებულია ათასობით დასახლებული პუნქტები.

წითელი არმიის ოსტატური და გადამწყვეტი მოქმედების შედეგად ფრონტის ხაზი იწევს სულ უფრო და უფრო შორს დასავლეთისაკენ. საბჭოთა მეომრებმა უკვე არარად აქციეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შარშანდელი ტაქტიკური წარმატება. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები გასცილდნენ 1942 წლის გაზაფხულის ზღუდეებს, მათ უკავიათ ისეთი რაიონები, რომლებიც საზიზღარი ოკუპანტების უღელქვეშ იყვნენ თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში, ამსხვრევენ სიმაგრეებს, რომლებიც გერმანელებმა ჯერ კიდევ 1941 წელს ააგეს. კვლავ ფრიალებენ თავისუფლების დროშები კურსკში, ველიკიე ლუკში, შლისელბურგში, ბელგოროდში, ფატეჟში, ჩუგუევში, შჩიგრში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში, სოფლებში და სადგურებზე.

ფართოა წითელი არმიის ახლანდელი შეტევის გაქანება და მძლავრია მისი დარტყმები. ჩვენი ჯარები შარშანდელ ზამთარშიც უტევდნენ და ურტყამდნენ მტერს. გერმანელები მაშინ ალაგ-ალაგ 400-მდე კილომეტრით იქნენ უკუგდებულნი, მათ უდიდესი ზარალი მოუვიდათ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. მაგრამ ახლა შეტევის მასშტაბი სხვანაირია. სხვაგვარი გახდა ჩვენი ზურგი; გასული წლის მანძილზე იგი კიდევ უფრო განმტკიცდა; მრავალი ქარხანა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ თვლებზე ან აღდგენის პერიოდში იმყოფებოდა, ახლა სრული სიმძლავრით მუშაობს. მრეწველობა დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მეტ [illegible]ღსა და საომარ მასალას აძლევს ფრონტს.

გაიზარდა და კიდევ უფრო განმტკიცდა წითელი არმია. ომის მსვლელობაში იგი ახალ სასიცოცხლო ძალებს იძენდა, ადამიანებითა და უალრესად სრულყოფილი ტექნიკით ივსებოდა, მან ახალი პოლკები და დივიზიები მიიღო, უდიდესი გამოცდილება დაგროვა და თავისი იარაღი გალესა. საბჭოთა ქვეყნის მეომრებმა ისწავლეს აუცდენლად ურტყან მტერს. გაიზარდა ოსტატობა წითელი არმიის გენერლებისა, რომლებმაც შესძლეს თვითკმაყოფილი ფაშისტი სტრატეგებისათვის დაეპირისპირებინათ ზუსტი ანგარიში, შორსმჭვრეტელობა, გამჭრიახობა, მტრის გარშემორტყმისა და მოსპობის ნამდვილი ოსტატობა.

უკანასკნელი ცნობები წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ ღრმა მნიშვნელობით არის აღსავსე. გერმანელები გაშმაგებით მოისწრაფოდნენ კავკასიისაკენ. მარტო ფიქრიც კი ყუბანის პურზე, კავკასიის ნავთზე, მთის წიაღთა სიმდიდრეებზე ჰიტლერელ ტურებს უხვად ჰგვრიდა ნერწყვს. ბერლინელი სტრატეგები თვითდაჯერებულნი ვარაუდობდნენ, რომ 25 სექტემბერს ბაქოში იქნებოდნენ. წითელმა არმიამ ცეცხლის მახვილით გადაუღობა გზა ოკუპანტებს და არამცირე გამანადგურებელი დარტყმები აგება მათ. კავკასიის მთებში და ყუბანის სივრცეებზე ჰიტლერელ ყაჩაღებს სისხლის ნთხევა დაწყებინა.

საზიზღარ მტერთან საბრძოლველად აღსდგნენ კავკასიის ხალხები. კავკასიის თავისუფლებისმოყვარე შვილები ერთსულოვნად და შეურიგებლად ამხედრდნენ მტრის წინააღმდეგ.

1920 წლის ნოემბერში თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაზე ქალაქ კავკავში ამხანაგმა სტალინმა რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავრობის სახელით თავისუფლების დროშა გადასცა მთიელებს. ამ ყრილობაზე გამოსული სერგო ორჯონიკიძე ამბობდა:

„ცენტრი სთვლის, რომ წითელი დროშა, რომელიც გადაეცა ოსებს, ჩაჩნებს, ყაბარდოელებს და სხვებს საყვარელი კომისრის—ამხანაგ სტალინის ხელით, სამუდამოდ იფრიალებს თქვენს რესპუბლიკაში და ამ დროშას თქვენ ისეთსავე შეუბღალავს შეინარჩუნებთ, როგორიც იგი თქვენ გეძლევათ“.

კავკასიის შვილებს არ შეუბღალავთ წითელი დროშა. იგი ახლაც ფრიალებს ქედზე და მის კალთებზე ისეთივე სპეტაკი, როგორც ოც წელზე მეტი ხნის წინათ. ჩრდილოეთი კავკასია თითქმის გაწმენდილია საზიზღარი ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან. მისი მთები, მისი სიმდიდრენი, მისი მზე—წინანდებურად საბჭოთაა!

კრასნოდარის აღებით წითელმა არმიამ კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. ჰიტლერელები მთელი ძალებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ქალაქის მისადგომებზე მდებარე დასახლებული პუნქტები გადაქცეული იყო წინააღმდეგობის მაგარ კვანძებად, რომლებიც საფორტიფიკაციო ტექნიკის უკანასკნელი მოთხოვნის მიხედვით იყო მოწყობილი. გერმანელთა გარნიზონების დასახმარებლად გამოყვანილი იყო ტანკები. ფაშისტები სასოწარკვეთილ კონტრიერიშებზე გადმოდიოდნენ. მაგრამ ვერც ფოლადმა, ვერც ბეტონმა, ვერც ცეცხლმა ვერ შეაჩერეს ჩვენი შემტევი ჯარები. საბჭოთა მეომრებმა გასრისეს მტერი და დაიკავეს კრასნოდარი.

უღრმესი მადლობით ხვდება საბჭოთა ხალხი წითელი არმიის წარმატებებს დონბასში, კრამატორსკაიას, შახტის, ვოროშილოვსკის დაკავებით ჩვენი ნაწილები ჰქმნიან წინაპირობებს იმისათვის, რომ სრულიად-საკავშირო ქურა სავსებით განთავისუფლებულ იქნას მტრისაგან. ფაშისტები ებღაუჭებიან დონბასის თითოეულ ბორცვს, თითოეულ ღრანტეს, მაგრამ შემტევი საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად იძულებულნი არიან, სისხლისაგან დაცლილნი, ზედიზედ დასტოვონ უმნიშვნელოვანესი ზღუდეები და ქალაქები. ქალაქ და სადგურ კრასნოარმეისკოეს დაკავებით წითელი არმიის ნაწილებმა გადასჭრეს მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კომუნიკაცია.

რწმენითა და სიამაყით ადევნებს საბჭოთა ხალხი თვალყურს თავისი სახელოვანი მეომრების წარმატებებს. წითელი არმია, ბრძოლებში განმტკიცებული. ბრძოლების ცეცხლში გამოწრთობილი, წარმატებით მიერეკება ჰიტლერელ მტარვალებს საბჭოთა მიწა-წყლიდან, ულეტს მტრის დივიზიებს, სპობს ფაშისტთა ტექნიკას. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, წითელი არმიის გამარჯვებებით. უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ სტალინის ბრძანებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტი აღმფრენით ეხმარებიან ფრონტს თავიანთი თავდადებული შრომით, თავიანთი გმირული ღონისძიებებით. წითელი არმიის 25 წლისთავის დღეს ფრონტიცა და ზურგიც—მთელი ჩვენი ქვეყანა—დიდი გამარჯვებებით ხვდება.

ეს გამარჯვებანი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით დღითი დღე სულ უფრო და უფრო გამრავლდება და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებით დამთავრდება.

წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

„პრავდის“ მოწინავე, 13/II.

ОТ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ნოვოჩერკასკი, ლიხაია, ზვერევო, ნოვოშახტინსკი, ზოლოჩევი

1. 13 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი ნოვოჩერკასკი. ქალაქში პირველნი შეიჭრნენ გენერალ-მაიორ ამხ. ა. ი. უტვენკოს და პოლკოვნიკ ამხ. ი. ფ. სერეგინის ნაწილები, რომლებიც გენერალ-მაიორ ამხ. ა. გ. ჩანჩიბაძის შენაერთში შედიან.

2. გენერალ-მაიორ ამხ. ი. ტ. შლემინის ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი ლიხაია, ქალაქი და რკინიგზის სადგური ზვერევო.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ქალაქი ნოვოშახტინსკი.

3. უკრაინაში ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ზოლოჩევი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ამხ. მ. ი. კალინინის გამოსვლა

ამხანაგებო, უკანასკნელი თვეების განმავლობაში წითელმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ფრონტზე.

ეს წარმატებანი გამომდინარეობენ არა მარტო იქიდან, რომ წითელ არმიას კარგი საჭურველი აქვს, რომ მისი მეთაურნი მამაცნი, ინიციატივიანნი არიან, რომ მისი მებრძოლნი თავდადებით იბრძვიან თავიანთი სამშობლოსათვის, — ყველა ეს თვისება ჩვენს არმიას წინათაც ჰქონდა. ახალი თვისება, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი წითელი არმია უკანასკნელ ხანს, არის ამაღლებული ორგანიზებულობა. არმიამ ბრძოლების გამოცდილება შეიძინა. და ახლა მისი გამარჯვებანი არის არა მარტო მამაცობისა და თავდადებულობის ნაყოფი,—მისი გამარჯვებანი ამაღლებულ ორგანიზებულობას ემყარება. მებრძოლებმა და მეთაურებმა საბრძოლო ოსტატობა შეიძინეს, ისწავლეს მატერიალური ძალების ნაკლები დახარჯვით მეტ შედეგებს მიაღწიონ.

ახლა სოფლის კომკავშირელთა წინაშე, რომელნიც მასობრივად მიიღებენ მონაწილეობას ომიანობის მეორე სასოფლო-სამეურნეო წელში, აგრეთვე დგას ამოცანა — ისწავლონ ორგანიზებულობა, რათა ძალების ნაკლები დახარჯვით მეტ შედეგებს მიაღწიონ. რა თქმა უნდა, კომკავშირელებში დუღს ენერგია, ენტუზიაზმი, რაც სიჭაბუკის დამახასიათებელია. ყველა ეს თვისება სჩვევია ახალგაზრდობას. მაგრამ არის ერთი თვისება, რომელიც ადამიანში უფრო ნელა მწიფდება, ეს არის ორგანიზებულობის ჩვევები, უნარი—ყოველი სამუშაოსათვის საუკეთესო ორგანიზაციული ფორმები გამონახო.

შესაძლებელია იკითხონ, როგორ გამოვნახოთ ეს ფორმები? წიგნებში ამის ამოკითხვა ძნელია. ჩვენში არც სკოლებში ასწავლიან ორგანიზაციულ პრაქტიკას, არა თუ მის მეთოდებსა და დეტალებს, ძირითად პრინციპებსაც კი არ ასწავლიან. ორგანიზაციულ ჩვევებს შრომაში, მუშაობაში, გამოცდილებაში იძენენ.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა ნაკლი გვქონდა შარშან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისას, სად გვეხარჯებოდა იმაზე მეტი შრომა, რაც საჭირო იყო. უნდა გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ ასეთი ამაო ხარჯი აღარ გავიმეოროთ.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე სამუშაოზე იმაზე ერთიორად მეტი ძალ-ღონე დავხარჯეთ, რაც საჭირო იყო. რასაკვირველია, იტყვიან, კარგად ვიმუშავეთ, დავალება 100 პროცენტით შევასრულეთო. მაგრამ მაინც ცოდვაა, რომ ბევრი ძალ-ღონე დავხარჯეთ ტყუილ-უბრალოდ.

ამავე დროს, ამხანაგებო, ახალგაზრდობის ამოცანა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება კარგად შესრულდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამასთან ერთად ახალგაზრდობა თავის თავს უფროსთა ცვლადაც ამზადებს, ამისათვის კი საჭიროა მისი ძალ-ღონის შენარჩუნება. საჭიროა, რომ მუშაობაც დუღდეს და კულტურული განვითარებისთვისაც რჩებოდეს დრო.

მე ვფიქრობ, რომ მოსკოველი კომკავშირელები თავიანთ მხრივ მთელ თავიანთ უნარს მოიხმარენ და წელს არა მარტო შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმას, არამედ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ გამოცდილებასაც დაიგროვებენ.

ორგანიზაციული გამოცდილება — ორგანიზატორის ჩვევა — ადამიანის ერთი საუკეთესო თვისებათაგანია. იგი თქვენ დაგჭირდებათ არა მარტო ახლა, იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი გისახავთ, არამედ მომავალშიაც გამოგადგებათ, უდიდეს როლს შეასრულებს თქვენს ცხოვრებაში.

ორგანიზაციული გამოცდილება გვიკარნახებს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ საუკეთესოდ ყოველი დავალების შესრულებას, და ეს თვისება ყოველ საქმეში დაგეხმარებათ.

ჩვენ გიგანტური მუშაობა მოგველის ომის დროსაც და ომის შემდეგაც. ეს მუშაობა მოგვთხოვს არა მარტო დიდ ძალ-ღონეს, არამედ იმის უნარსაც, რომ რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ჩვენი ძალ-ღონე.

აი სწორედ ეს უნდა ისწავლონ მოსკოვის ოლქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ.

მინდა ვუსურვო მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელებს შეიძინონ ისეთი გამოცდილება, რომ მათ შეეძლოთ სულ უმცირესი ძალისა და ენერგიის ხარჯვით მოიპოვონ გამარჯვება. თუ ამაში წარმატება გექნებათ, მაშინ პარტიის დავალებებს, ამხანაგ სტალინის დავალებებს შეასრულებთ. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საბერძნეთის დესპანი ბ-ნი ა. პოლიტისი

1943 წლის 13 თებერვალს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საბერძნეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. პოლიტისი.

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

მოქმედი არმია, 13 თებერვალი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ქარი ტარამალზე მსუსხავი თოვლის კორიანტელს აყენებს, ჰფარავს გზებს. ნამქერში ძლივს იკაფავენ გზას და განუწყვეტლივ მიედინებიან ფრონტისაკენ ავტომანქანათა კოლონები, მიჰქრიან ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. გზის პირას თხილამურებით მიდიან მებრძოლნი.

უკრაინის თოვლიან სივრცეებზე დღეღამ არა სწყდება ბრძოლების გუგუნი. სახლრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები, რომლებმაც ფართო ფრონტზე გაარღვიეს გერმანელთა მიერ სევერი დონეცის გასწვრივ შექმნილ მძლავრ თავდაცვით ნაგებობათა ხაზი. ბრძოლით მიიწევენ დასავლეთისაკენ და კილომეტრს კილომეტრზე ათავისუფლებენ უკრაინის მიწა-წყალს გერმანელი დამპყრობლებისაგან. უკვე დაბრუნებულია ხარკოვის, ვოროშილოვგრადისა და სტალინოს ოლქების მრავალი რაიონი.

ახლა ბრძოლები სწარმოებს უკრაინის რამდენიმე დიდი ქალაქის მისადგომებზე. მოწინააღმდეგის სწადია რადაც უნდა დაუჯდეს გამაგრდეს ეკონომიურად დიდმნიშვნელოვან და თავდაცვისათვის ხელსაყრელ პუნქტებში. მტერს განუწყვეტლივ მოაქვს კონტრიერიშები მოტოქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით. შემჩნეულია გერმანელთა ახალი ნაწილების გამოჩენა, რომლებიც ამ უბანზე სხვა ფრონტებიდან არიან გადმოყვანილნი.

ერთ ადგილას მოწინააღმდეგემ კოტა იერიშზე გამოიყვანა ქვეითი ჯარი და ტანკები, მას იმედი ჰქონდა, რომ საფლანგო დარტყმით გაჭეთდა ჩვენს შემტევ ნაწილებს. საბჭოთა სარდლობა დროზე მიუხვდა გერმანელებს განზრახვას და არტილერიის, ჯავშანმსტვრეველებისა და მსროლელების შეთანხმებული მოქმედებით შეხვდა მათ. ფაშისტები იძულებული იყვნენ უკუქცეულიყვნენ.

მეორე დღეს ჰიტლერელებმა კვლავ მოიტანეს კონტრიერიში ერთსა და იმავე დროს ორ უბანზე. 5 მსროლელთა შენაერთის ნაწილებმა ოსტატურად მოიგერიეს კონტრიერიში, კვლავ წაიწიეს წინ და შემდგომი წარმატების განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ტერს დიდი ზარალი მოსდის ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ.

სწრაფად მიიწევენ წინ აგრეთვე გვარდიის 5 შენაერთის ნაწილები. იზიუმისა და ბარვენკოვოს დაკავების და ამ ქალაქებში დიდი დავლის ხელში ჩაგდების შემდეგ, გვარდიელები დაუცხრომლად სდევნიან მოწინააღმდეგეს, სპობენ მის ცოცხალ ძალსა და ტექნიკას. უკანასკნელ დღეებში ჩვენმა ჯარებმა ფაშისტებისაგან გაათავისუფლეს ხარკოვშინის მრავალი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რამდენიმე რაიონული ცენტრი. გერმანელები ბალაკლეიდან რომ განდევნილ იქნენ, აპირებდნენ გაეწიათ წინააღმდეგობა შემდეგს კარგად გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტში. მაგრამ ჩვენი მებრძოლნი უკუქცეული მოწინააღმდეგის კვალდაკვალ შეიჭრნენ დასაყრდენ პუნქტში და დაიკავეს იგი.

იზრდება საბჭოთა მეომრების საბრძოლო სულისკვეთება. მათ იციან, რომ მათ მიელითოკუპანტების მიერ განაწამები უკრაინა, მიელიან ფაშისტურ მონობაში დატანჯული დედები, ცოლები და შვილები. და ეს ათასეულებს საბჭოთა მებრძოლებისა და მეთაურების ძალ-ღონეს.

ფეხზლად უგდებს ყურს ჯერ კიდევ გათავისუფლებული რაიონების მოსახლეობა მოახლოებული ბრძოლების გუგუნს. ხშირია შემთხვევები, როცა პარტიზანები და ადგილობრივი მცხოვრებნი უკან დასახვევ გზებს უჩვენენ გერმანელებს, ზურგიდან ურტყამენ მათ.

ვოროშილოვგრადის ოლქის ერთი სოფლის მცხოვრებნი, როცა წითელი არმიის მოახლოების ამბავი შეიტყეს, შეიარაღდნენ ვინაც კი რით შეეძლო, თავს დაესხნენ გერმანელთა ავტოკოლონას, ხელთ იგდეს 10 სატვირთო მანქანა სამრთა მასალიანად, 1 რადიოსადგური და დიდძალი იარაღი. სხვა ჯგუფმა გერმანელებს წაართვა 100 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 1.300 ცხვარი, რომელთა გარეკასაც ცდილობდნენ ფაშისტი მძარცველნი უკან დახევის დროს.

სახარულით შეხვდნენ სოფლის მცხოვრებნი თავიანთ განმათავისუფლებლებს. ის პირველი შემთხვევა იყო დიდი ხნის განმავლობაში, რომ სოფლის ქუჩები ხალხით გაჩეფდა. სოფელში შესული ქვეგანაყოფის მეთაურს მცხოვრებლებმა გადასცეს 23.500 მანეთი, რაც მათ ჯერ კიდევ გერმანელთა ოკუპაციის დროს შეუგროვებიათ წითელი არმიისათვის სატანკო კოლონის ასაგებად. ბაღარაწვერიანმა მოხუცმა კოლმეურნემ მეთაურს ფული ჩაბარა და უთხრა:

— „გთხოვთ გადასცეთ ამხანაგ სტალინს.

მებრძოლნი არ შეჩერებულან და კვალდაკვალ დაედევნენ მტერს.

ი. ლაპრნოგოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 თებერვლის დილის ცნობა

12 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

• • •

ნოვოჩერკასკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. სევერნი დონეცის ნაპირზე აგებული სიმაგრეებიდან განდევნილი გერმანელები სიმაგრეებიდან გამაგრებულიყვნენ შუათანა ზღუდეებზე. ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი დარტყმით გადასთელეს ჰიტლერელები და დასავლეთისაკენ უკუაგდეს ისინი. 5 ნაწილმა მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლებში 400-მდე ჰიტლერელი გასწყვიტა და ხელთ იგდო 8 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 19 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. სხვა უბანზე გარშემორტყმული და გაელეტილი გერმანელთა ორი ასეული ქვეითი ჯარი. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

კრასნოარმეისკოეს რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 5 ნაწილმა ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი მოსპო და მოწინააღმდეგის 12 ტანკი დაზიანა. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ჰიტლერელთა გამაგრებული პოზიციები. მოწინააღმდეგე რამდენიმე გადმოვიდა კონტრიერიშზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-ზე მეტი გვამი, და 3 დამწვარი ტანკი.

• • •

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 სატანკო ქვეგანაყოფმა მოწინააღმდეგის თავდაცვა გასტეხა და ორი დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავა. სხვა უბანზე გარშემორტყმულია და ორი დღის ბრძოლების შედეგად გაელეტილია გერმანელთა ჯარის ერთი ნაწილი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-მდე გვამი. წამოყვანილია ტყვეები. წამოღებულია დავლა, რომელშიც არის 17 ქვემეხი. მრავალი ტყვიამფრქვევი, ავტომატები და შაშხანები.

• • •

კურსკის ჩრდილოეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა გერმანიის ქვეითი ჯარის რამდენიმე

13 თებერვლის საღამოს ცნობა

13 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი **ნოვოჩერკასკი.**

ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი **კვანძი ლიხაია,** ქალაქი და რკინიგზის **სადგური ზვერევო.**

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ქალაქი **ნოვოშახტინსკი.**

უკრაინაში ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **ზოლოჩევი,** აგრეთვე რაიონული ცენტრი **ლიპცი,** დიდი დასახლებული პუნქტები — **კაზარია ლოპანი, როგანი, კამენნაია იარუგა, ტარანოვკა.**

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

12 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს 300-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 4 საარტილერიო ბატარეიანი ცეცხლი, აფეთქეს სამარ მასალათა საწყობი და საწვავის საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

შახტის რაიონში ჩვენი ჯარები ანვითარებდნენ წარმატებითს შეტევას. გერმანელებმა ქალაქიდან უკან დახევისას სცადეს სხვა ზღუდეზე მოეწყოთ თავდაცვა. ჩვენმა ნაწილებმა მტრის ქვეითი ჯარის წინააღმდეგობა გასტეხეს და ბევრი დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. წამოღებულია დიდი დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს. ჩვენმა მეზენიტეებმა გერმანელთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

ვოროშილოვსკის რაიონში ჩვენი ნაწილები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ და წინ მიიწევდნენ. არასრული ცნობებით, მოსპობილია 1.200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 5 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 19 ქვემეხი, 5 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 70 ავტომანქანა. 80 სახიდარი, 200 ცხენი აკაზმულობიანად, 7 ორთქლმავალი, 2 სარკინიგზო შემადგენლობა საქარხნო მოწყობილობით და სხვა დავლა.

• • •

კრასნოარმეისკოეს რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ნაწილებთან. რომლებიც შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. გერმანელებმა ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით მთელი რიგი კონტრიერიშები მოიტანეს. ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია, ამასთან ისინი დიდად დაზარალდნენ. 5 ნაწილის მებრძოლებმა რკინიგზის ერთი სადგურისათვის ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი და 6 ჯავშნიანი მანქანა და ხელთ იგდეს 8 ორთქლმავალი და 2 ჯავშნიანი მანქანა. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის რაზმმა, რომელიც 500-მდე აცისაგან შესდგებოდა, 14 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა 6 ქვეგანაყოფზე. ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმსტვრეველებმა ეს პოზიციებიდან დასწეს და დაახიანეს მტრის 5 ტანკი. გაელეტილია 300-მდე ჰიტლერელი. მოწინააღმდეგემ კიდევ რამდენიმე უშედეგო კონტრიერიში მოიტანა, ბრძოლის ველზე დასტოვა მრავალი გვამი, აგრეთვე 6 დაზიანებული ტანკი, და უწესრიგოდ უკან დაიხია.

• • •

სადგურ ლოზოვაიაზე ჩვენმა ნაწილებმა, წინასწარი ცნობებით, ხელთ იგდეს საინჟინრო ქონების საწყობები, საომარ მასალათა საწყობი, სურსათის საწყობი, ფქვილისა და მარცვლეულის საწყობი, 9 ორთქლმავალი, 120 ავტომანქანა, 300 მოტოციკლი და სხვა დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს.

• • •

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. განადგურებულია გერმანიის 320-ე ქვეითი დივიზია. მარტო უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ამ დივიზიის ნაწილებმა 3.500 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. წამოღებულია 20 ქვემეხი, 200 ავტომანქანა და 500-მდე საზიდარი ტვირთიანად.

• • •

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა გარნიზონებზე. გაელეტილია 150 ჰიტლერელი. ამ რაზმის პარტიზანებმა იანვარში ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის 7 სარკინიგზო ეშელონი.

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა იანვარში ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 11 ეშელონი.

• • •

ვოლხოვის ფრონტზე ტყვედ წამოყვანილია გერმანიის 227-ე გრენადერთა დივიზიის ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი. ამ დივიზიის 366-ე პოლკის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცებმა—იოჰან გონერმა, ბერნჰარდ დიკმანმა, ეფრეიტორმა ერნსტ ფრიცმა, ობერ-ეფრეიტორმა ვილი ბრანდმა და სხვებმა განაცხადეს: „რუსების არტილერიის ცეცხლმა ბევრი ჩვენი ქვეგანაყოფი გაანადგურა. ბატალიონების მეთაურები ზედიზედ გადმოგვცემდნენ რადიოთი ბრძანებას—რადაც უნდა დაგვჯდომოდა შეგვენარჩუნებინა პოზიციები. მაგრამ რუსების ტანკებმა თავდაცვის ხაზი გაარღვიეს, მათ მოპყვა ქვეითი ჯარი. რუსები ჩვენს სანგრიბში შემოიჭრნენ და შიგ მყოფმა ყველა გერმანელმა ჯარისკაცმა, წინასწარ შეუთანხმებლად, თითქოს უბრძანესო, ხელები მაღლა ასწია“.

• • •

როსტოვის ოლქის ხუტორ სტარაია სტანიცაში ჰიტლერელმა არამზადებმა ცოცხლად დასწვეს 18 ტყვე წითელარმიელი. კოლმეურნე პრასკოვია შინკარევა და მისი ორი შვილი, წითელი არმიის ნაწილების მისვლამდე ერთი დღით ადრე გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს ხუტორს. ცეცხლში დაიწვა კოლმეურნეთა 147 სახლი, სკოლა, კლუბი. ბეღლები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი.

ОТ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ

ОТ ЦЕНТРАЛЬНО

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 12 თებერვალი (საკ.ფსი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა საომარი მდგომარეობის შესახებ.

ძირითადი მიზანი, რასაც ჩვენ ვისახავდით კასაბლანკაში გამართულ კონფერენციაზე, — სთქვა მან, — ის იყო, რომ რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით და რაც შეიძლება ჩქარა შევებით მოწინააღმდეგის ძალებს ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში. იმის საჭიროებას, რომ უფრო ახლო მივადგეთ მტერს და გავაძლიერთ ბრძოლა, ყველა სხვა მოსაზრებასე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომლებიც შეიძლებოდა ჩვეულებრივ თავისთავად გადამწყვეტი ყოფილიყო. ჩვენ ყველა ფიზიკურად შესაძლებელი და გონივრული საშუალებით უნდა ეულტიმოთ და სისხლისაგან დავიცალოთ მტერი ისევე, როგორც იქლიტება და სისხლისაგან იცლება იგი რუსეთის მთელ ვრცელ ფრონტზე თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი სიძნელენი უნდა გადალახონ, და დაწვრილებით შეჩერდა წყალქვეშა ომზე.

ინგლისისა და ამერიკის მთავრობებმა ყველა თავიანთი გეგმაში პირველი ადგილი დაუთმეს წყალქვეშა ომის საფრთხის - დაძლევის ამოცანას. ეს ბელს ფრიად დიდი ზარალი მოგვდის, რაც ხელს გვიშლის და აბრკოლებს ჩვენს ოპერაციებს. მაგრამ წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში ჩვენ უპირატესობა მოვიპოვეთ და მეტიც კი შევძელით.

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ახალი გემების მშენებლობამ, მათ შორის ამერიკის გემთმშენებლობამ და კანადის დიდმა გემთმშენებლობამ 1.250.000 ტონაზე მეტით გადააჭარბა გაერთიანებული ერების ყველა ზარალს, ხოლო უკანასკნელი ორი თვის ზარალი ყველაზე უფრო ნაკლები იყო იმ ზარალზე, რაც კი ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოგვივიდა. გერმანიის წყალქვეშა ნავების რიცხვი იზრდება, მაგრამ იზრდება მათი ზარალიც და უმჯობესდება როგორც მათზე თავდასხმის ხერხები, ისე მათგან ქარავნების დაცვის მეთოდები. მაგრამ, განსაკრძო ჩერჩილმა, ჩვენ ვეღარ დავუშვებთ მომავალში ასეთი მასშტაბის ზარალს, თუნდაც მას ახალი შენებლობა ანაზღაურებდეს.

თუ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ღონისძიებებს არ შეასუსტებენ და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლა თავის პირველ ადგილს შეინარჩუნებს ჩვენს გეგმებში და ჩვენს მოქმედებაში, მე პასუხისმგებლობას კისრულობ,—ამბობს ჩერჩილი,—დავარწმუნო თემთა პალატა, ხოლო აქამდე მე იგი შეცდომაში არ შემიყვანია, რომ ნაოსნობის ხნრივ 1943 წლის დამლეგს ახლანდელზე უკეთესი მდგომარეობა გვექნება. და თუმცა გაუფრთხილებლობა იქნებოდა ეცდილიყავით შორს განგვეკვრიტა მომავალი, მიუხედავად ამისა, ყველა ტენდენცია იმას მოწმობს, რომ თუ სრულიად ახალი და მოულოდნელი რამ არაფერი მოხდა ამ კარგად შესწავლილ დარგში, მაშინ 1944 წლის დამლეგს ჩვენ კიდევ უფრო კარგი მდგომარეობა გვექნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ომი ამ დრამდე გასტანს.

რაც უფრო ნაკლებ გემებს დავკარგავთ, მით უფრო ინტენსიური შეიძლება იყოს ინგლის-ამერიკის სამხედრო ღონისძიებანი. ტონაჟის გადიდება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მძლავრად ვუტრაფეთ მტერს. თუ რამდენად გადააჭარბებს ზარალს ახალი გემების შენებლობა, ამაზეა დამოკიდებული იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც შეგვიძლია მოვხსნათ რუსეთს, და ის, თუ რამდენად ძალე დამთავრდება ომი.

დე მტერმა, თუ კი მას სურს, ამაო იმედი იქონიოს იმისა, რომ წყალქვეშა ომის გზით თავიდან აიცილებს დაღუპვას. იგი ამ დაღუპვას ვერ აიცილებს, მაგრამ შეუძლია მისი დადგომის ეტაპი გადასდოს, და ჩვენი საქმეა ყველა შესაძლებელი ღონისძიების გამოყენების გზით შევამოკლოთ ეს ვადა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდამშვიდებით და ფხიზლად იქნა გათვალისწინებული ყველა მომენტი, რომლებზეც, რასაკვირველია, დამოკიდებულია ჩვენი სიცოცხლისა და თავისუფლების შენარჩუნება, პრეზიდენტმა ჩემი, როგორც სამხედრო კაბინეტის წარმომადგენლის, სრული თანხმობით, გადასწყვიტა, რომ კასაბლანკაში გამართული კონფერენციის ძირითადი პრინციპია სრული და უსიტყვო კაპიტულაცია მოვთხოვოთ ყველა ჩვენს მტრებს. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა უსიტყვო კაპიტულაციისა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ძლევამოსილი იარაღი შევბღალოთ მთელი მოსახლეობისადმი უსამართლო და სასტიკი მოპყრობით, მაგრამ დამნაშავენი მართლმსაჯულებას უნდა გადაეცნენ. და ეს მართლმსაჯულება სასტიკი და ულმობელი უნდა იყოს. ნაცისტური და ფაშისტური ძალიერებისაგან და იაპონიის სამხედრო მანქანისაგან ჩვენ არ უნდა დავტოვოთ არავითარი კვალი, როცა საქმე გაკეთებული იქნება, საქმე კი უთუოდ იქნება გაკეთებული.

ახლა ჩვენ ამოშუბრავი გეგმა გვაქვს მოქმედებისა; ეს გეგმა განსაზღვრავს შეიარაღებულ ძალთა დანიშნულებას, აგრეთვე მათი მოქმედების მიმართულებას, და ჩვენ განხრახული გვაქვს ჩვენი პოლიტიკის თანახმად განვაორგანიზებოთ ეს გეგმა უახლოესი 9 თვის განმავლობაში; სანამ ეს დრო გავა, ჩვენ, უეჭველია, შევეცდებით კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს.

ინგლისელ და ამერიკელ ექსპერტებსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ იმის მეოხებით, რომ შეეძლოთ თავისუფლად და გულახდილად გეზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრი ერთსა და იმავე ენაზე. მაგრამ ეს ოდნავაც არ ამცირებს ჩვენს უდიდეს სინანულს იმის გამო, რომ სტალინსა და ზოგიერთ მის თვალსაჩინო გენერალს არ შეეძლოთ ჩვენს შორის ყოფნა. პრეზიდენტი რუზველტი, თავისი ფიზიკური სნეულების მიუხედავად, რომელიც მან ასე გმირულად დასძლია, მზად იყო თუნდაც ხარტუმამდე ემგზავრა, თუ კი სამთა შეხვედრის იმედი იქნებოდა. მაგრამ პრემიერი სტალინი უმაღლესი ხელმძღვანელია რუსეთის მთელი უზარმაზარი შეტევისა, რომელიც მაშინ უკვე სავსებით განაღიებული იყო და რომელიც კვლავ განუხრელად და ტრიუმფით ვითარდება. როგორც მან განაცხადა, მას ერთი დღითაც კი არ შეეძლო დაეტოვებინა თავისი პოსტი, მაგრამ მე შემიძლია დავარწმუნო პალატა, რომ, თუმცა იგი ვერ დაგვესწრო, მოუხდავად ამისა, ჩვენ პირველ მოვალეობად დავისახეთ გავაკეთოთ იმის მაქსიმუმი, რაც ჩვენ ძალგვიძს, რათა დახმარება გავუწიოთ რუსების უდიდეს და საუცხოო ღონისძიებებს და ვეცადოთ ჩვენსკენ მივიზიდოთ მტერი და მისი საპაერო ძალები რუსეთის ფრონტიდან, რამდენადაც წყალქვეშა ომის საკითხები ისე იყო დაყენებული, რომ ჩვენ შეტევითი მოქმედების შესაძლებლობა გვეძლევა.

ინგლისელი და ამერიკელი სტრატეგები და ლიდერები ერთსულოვნად ეერთდებიან ერთი წლის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, სახელდობრ იმას, რომ ჰიტლერის დამარცხებას და გერმანიის ძლიერების განადგურებას პრიორიტეტი უნდა მიეცეს იაპონიის წინააღმდეგ ომის გადამწყვეტი ფაზის წინაშე.

როგორც უკვე აღვნიშნე ორი თვის წინათ, ევროპაში მტრის განადგურება შეიძლება ადგილ ეფნას მანამდე, სანამ გამარჯვებას მოვიპოვებდეთ იაპონიაზე, და მე განვაცხადე, რომ ამ შემთხვევაში ბრიტანეთის იმპერიის მთელი ძალები—სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო—რაც შეიძლება მეტი სისწრაფით იქნება გადაყვანილი შორეულ აღმოსავლეთის ასპარეზზე და რომ ინგლისი იმპერიის შეერთებულ შტატებთან ერთად მაქსიმალურად შესაძლებელი ენერგიით განაგრძობს ომს მანამდე, სანამ იაპონია იძულებული არ გახდება მოახდინოს ესიტყვო კაპიტულაცია.

ამჟამად იაპონის წინააღმდეგ ომში ინგლისის მოქმედება ინდოეთში წარმოებული ოპერაციების ასპარეზით განისაზღვრება. ბაბიაში ჩვენი სამხედრო ღონისძიებანი, კერძოდ, იქითკენ არის მიმართული, რომ გავხსნათ ბირმის გზა, რათა ყოველგვარი შესაძლებელი დახმარება აღმოვუჩინოთ ჩიანეთს. ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს დამყარებული გენერალისიმუს ჩან კაი-შისთან, რომლის ნახვა კონფერენციაზე გაგვახარებდა, თუ იგი ამ კონფერენციაზე ჩამოსვლას შესძლებდა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალთა სარდალი გენერალი არნოლდი და ფელდმარშალი დილი ჩუნკინში იმყოფებიან და გენერალისიმუსთან ერთად იხილავენ იმას, რაც ჩვენ გვქონდა მხედველობაში. ჩვენ უკვე მიეღოთ მისგან ცნობა, რომ იგი კმაყოფილია დიდი დამატებითი დახმარების გამო, რომელიც ჩვენ ჩინეთს აღმოვუჩინეთ მისი ხანგრძლივი და ურყევი ბრძოლის ამ ეტაპზე. გენერალისიმუსი ეთანხმება აგრეთვე იმ გეგმებს, რომლებიც ჩვენ მომავლისათვის გავითვალისწინეთ შორეულ აღმოსავლეთში სამოქმედოდ და რომელთა შესახებაც ჩვენ მას ვაცნობეთ ჩვენი მოლაპარაკების შედეგის სახით.

ა, რა შეიძლება ითქვას კასაბლანკაში მიღებულ გადაწყვეტილებათა და მათი შედეგების შესახებ, რამდენადაც საჭიროა ამის გამოქვეყნება.

მაგრამ მე უნდა დავსძინო შემდეგი: როდესაც ვითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც საც რუსეთი აკეთებს, და საბჭოთა არმიის უდიდეს წარმატებებს, მე იმ დონეზე ვერ ვიგრძნობდი ჩემს თავს, რასაც ახლანდელი ამბები მოითხოვს, მთელი ჩემი არსებით და შეგნებით მეტი ენერგიით და უაღრესად ფართო მასშტაბებით ავამოქმედოთ ინგლისსა და ამერიკის შეიარაღებული ძალები მტრის წინააღმდეგ. პრეზიდენტი და მე დაბეჯითებით და განსაკუთრებით აღენიშნავდით ამას ჩვენი სამხედრო მრჩევლებისა და ექსპერტების წინაშე. ვიწოლებდით ამ თემებსა და ეძებდა ძალთა განლაგებას, ჩვენ ოფიციალურად ვაძლევდით მათ წინადადებას მეტი ადგილი დაეთმოთ და მეტი სიჩქარით განეხორციელებინათ იერიშები. ამ მიზნის მისაღწევად ატლანტიკის ორსავე მხარეს ენერგიულ ღონისძიებებს მივმართავთ.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი რუზველტის სრული თანხმობით ჩავიდა თურქეთში თურქეთის ხელმძღვანელებთან თათბირზე. მე უკვე წინასწარ გაგაფრთხილეთ იმის წინაღმდეგ, სთქვა ჩერჩილმა, რომ სტრიქონსა და სტრიქონს შუა წაიკითხოთ კომუნიკე, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო ამ თათბირის გამო.

ჩვენი პოლიტიკა ოდნავაც არ არის მიმართული იქითკენ, რომ საძნელო მდგომარეობაში ჩავაყენოთ თურქეთი. პირიქით, თურქეთის კატასტროფა ინგლისისა და ყველა გაერთიანებული ერების კატასტროფა იქნებოდა. აქამდე თურქეთი ინარჩუნებდა მკვიდრ ბარიერს რომელიმე მხრივ აგრესიის წინააღმდეგ და ამის მეოხებით ყველაზე უფრო ძნიმე დღეებშიც კი იგი ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევდა იმით, რომ თავიდან აგვაცილა ომის გავრცელება თურქეთით ირანსა და ერაყზე და თავიდან აიცილა საფრთხე აბადანის ნავთის სარეწებს, რომელებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ მთელი ომისათვის აღმოსავლეთში.

გაერთიანებული ერები, განსაკუთრებით ინგლისი, უაღრესად დაინტერესებული არიან იმით, რომ თურქეთი კარგად იყოს აღჭურვილი თანამედროვე ომის იარაღით და რომ მისი მამაცი ქვეითი ჯარი არ განიცდიდეს ნაკლებობას უმნიშვნელოვანესი საჭურველის მხრივ, რომელიც ამჟამად გადამწყვეტ როლს თამაშობს ბრძოლის ველზე. ახლა ჩვენ და შეერთებულ შტატებს პირველად გვეძლევა შესაძლებლობა მოვამზადოთ თურქეთი ამ იარაღით იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა მისი რკინიგზებისა და სხვა კომუნიკაციების გამტარუნარიანობა. ჩვენ შეგვიძლია მივცეთ მას იმდენი, რამდენის აღებაც შეუძლია, და ამ იარაღს ისევე სწრაფად და უფრო სწრაფადაც კი ვაწვდით, ვიდრე თურქეთის ჯარებს, შეუძლიათ მისი ათვისება. ჩვენს თათბირზე მე არავითარი მოთხოვნა არ წამიყენებია თურქეთისათვის, გარდა წინადადებისა, რომ გულდასმით მოაწყოს ეს ხელახალი შეიარაღება. ამჟამად ანკარაში სხდომები აქვს ინგლის-თურქეთის შერეულ სამხედრო კომისიას, რომელიც იხილავს თურქეთის საერთო თავდაცვითი ძალიერების მაქსიმალური განვითარების საკითხებს ამ ახალი იარაღის შემოღებისა და კომუნიკაციების გაუმჯობესების გზით, რათა თურქეთის არმიამ მაქსიმალურ ეფექტიანობას მიაღწიოს. თურქეთი ჩვენი მოკავშირე და მეგობარია. და ჩვენ შეგვიძლია ვისურვოთ, მისი ტერიტორია, მისი ინტერესები და უფლებები ეფექტურად იყოს დაცული. ჩვენ განსაკუთრებით გვსურს მიღწეულ იქნას გულთბილი და მეგობრული ურთიერთობა თურქეთსა და ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეგობარს შორის, რომელთანაც ჩვენ ინგლის-რუსეთის 20 წლის ხელშეკრულებით ვართ დაკავშირებულნი.

შემდეგ ჩერჩილი შეეხო კვიპროსზე, კაიროსა და ტრიპოლში თავის ჩასვლას. მან მოგონა ელ-ალამეინთან რომელის არმიის გაბადგურების, გარეშეობანი.

ჩერჩილოეთ აფრიკაში წარმოებულ ოპერაციაზე, — სთქვა ჩერჩილმა, — ეფექრობ, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ სიტყვების მიხედვით, რომლებიც მითხრა სტალინმა, როცა მე ვუთხარი მას ამ ოპერაციის შესახებ ვასუელ წლის აგვისტოში. მან განაცხადა, რომ ეს ოპერაცია სამხედრო მხრივ სწორია. ამ ოპერაციამ, უეჭველია, შესცვალა ომის სტრატეგიული ღერძი. ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში წარმატებით გადასხმულ იქნა თითქმის 500.000 კაცი, და ახლა ეს ჯარები შეერთებული შტატების კონტროლქვეშ იმყოფებიან.

ზოგიერთი ადამიანი, გადაყოლილია სხვადასხვა ფრანგი ოფიციალური პირის წარსული მოქმედების საკითხს, ამ პირებისა, რომელთა გამოყენებაც, ამერიკელთა აზრით, გონივრული იქნებოდა. რაც შემეხება მე, უნდა გაღიარო, რომ ფერო მეტად ვარ დაინტერესებული არმიის უშიშროებით და იმ ოპერაციების წარმატებით, რომლებიც მალე კვლავ მიაღწევენ თავიანთ კულმინაციურ წერტილს.

მე შეეეცადე მეთქვა პალატისათვის ყველაფერი, დაამთავრა თავისი სიტყვა ჩერჩილმა, რაც, როგორც დარწმუნებული ვარ, ცნობილია მოწინააღმდეგისათვის, და არ მეთქვა პალატისათვის რაიმე ისეთი, რაც მოწინააღმდეგმ არ უნდა იცოდეს. ყოველ შემთხვევაში, მე მივმართავ ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარის ყველა პატრიოტს: მკაცრად გაუსწორდით ყველა იმათ, ვინც უთანხმოებასა და უკმაყოფილებას სთესს, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, და უზრუნველყავით, რომ ჩვენი სამხედრო მანქანები ჩვენი საქმისათვის, რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელ პირობებში ემუშავოდნენ ბრძოლაში.

ალექსანდერი ეიზენჰაუერის მოადგილედ დაინიშნა

ლონდონი, 12 თებერვალი (საკ.ფსი). როგორც რეიტერის საგაზეთო გადმოგვცემს, საომარი ოპერაციების ჩრდილოეთ აფრიკის ასპარეზის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალმა გენერალმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ მის მოადგილედ დანიშნულია ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენერალი აღექსანდერი.

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი და იმპორტი 1942 წლის განმავლობაში

ვაშინგტონი, 11 თებერვალი (საკ.ფსი). ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთო ექსპორტმა გასულ წელს (იმ მასალის გამოკლებით, რომელიც საჭურვლის სესხად ან იჯარით გაეცემის, კანონის საფუძველზე გაიგზავნა) შეადგინა 7.826 მილიონი დოლარი, 2.6 მილიარდი დოლარით მეტი 1941 წელთან შედარებით.

იმპორტი გასულ წელს, 1941 წლის 3.345 მილიონი დოლარის ნაცვლად, 2.743 მილიონ დოლარს უდრიდა.

პარტიზანული ბრძოლა იუგოსლავიაში

ჟენევა, 12 თებერვალი (საკ.ფსი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობების თანახმად, პარტიზანები განაგრძობენ გაფფრთხილებულ ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ, რომელიც განთავისუფლებულ ტერიტორიას უტევენ.

განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები სწარმოებს სანსკი-მოსტ-კლიუჩის რაიონში (ბანიალუკას დასავლეთით), სადაც მტერმა თავი მოუყარა დიდძალ ჯარებსა და საომარ ტექნიკას. მტერს აქ დიდი ზარალი მოსდის. დასახლებული პუნქტების ბიბაჩის, პეტროვაცის, კორენიცისა და ბუგოინის რაიონში (ბანია-ლუკის სამხრეთ-დასავლეთით) პარტიზანები წარმატებით იგერიებენ მტრის ყველა იერიშს და მწყობრიდან გამოსაყვანთ მისი ტექნიკა. ერპოლის მახლობლად პარტიზანებმა დააზიანეს გერმანელთა 4 ტანკი და გასწყვიტეს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი. ხიშტით ბრძოლაში ბიბაჩის მახლობლად პარტიზანებმა გასწყვიტეს გერმანელთა ერთი ასეული. რამდენიმე დღის წინათ მტერმა კვლავ დაბომბა პეტროვაცი.

პლიტვიჩკო-ოზეროს რაიონში (ბანია-ლუკის სამხრეთ-დასავლეთით) გერმანელთა და უსტაშთა შემტევი რაზმები იტალიელებს შეუერთდნენ და რამდენადმე შეაფერხეს პარტიზანები. ვრაჩაის ახლოს სწარმოებდა განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები, რომელშაც მსვლელობაშიც გერმანელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს, იტალიელებმა კი—1.000-მდე კაცი. მრავალი დღის ბრძოლების შემდეგ პარტიზანებმა კვლავ გაათავისუფლეს ოკუპანტებისაგან ქალაქი გორნიეკეფი (60 კილომეტრზე სარაევოს დასავლეთით).

პარტიზან ამფეთქებელთა ჯგუფმა რკინიგზის ლიანდაგი აპყარა ტრეინინეს და სევნიცას შუა (ლიუბლიანა-ზაგრების ხაზზე) და 5 სარკინიგზო სადგური აიფეთქა. მეზეერავ პარტიზანთა ჯგუფი წარმატებით დაესხა თავს მტრის გარნიზონს ქალაქ ეუეემბერგში (ლიუბლიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით). პარტიზანებმა დახოცეს რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 2 დაზგის ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი და შეიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში.

ROGOR WAMOIYVANES FYVEDI KAULIUSI

STALINGRADI, 3 თებერვალი. ახლა დაწვრილებით ცნობილი გახდა, თუ როგორ წამოიყვანეს ტყვედ გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი და სხვა გენერლები.

ტყვედ წამოყვანილ მტრის გენერლებს შორის არის რუმინეთის 1-ლი საკავალერიო დივიზიის მეთაური გენერალი ბრატესკუ.

როდესაც მას შეკითხნენ:

— თქვენი ცხენები სადღა არიან, ბატონო კავალერიის გენერალო?—ბრატესკუმ უპასუხა:

— ისინი გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსს ჯარისკაცებმა შეთქვლიფეს.

ჩვენ მოწმენი ვიყავით რუმინელ და გერმანელ გენერალთა კინკლობისა. გერმანელი გენერლები ყველა რუმინელს ზიზღით ეკახდნენ ქურდებს, რუმინელები კი თავის მოკავშირეებს ჯალათებსა და მძარცველებს უწოდებდნენ.

და ისინი ყველანი ლანძღავდნენ თავის სარდალს გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსს იმისათვის, რომ მან დაუმალა მათ არტილერიის, მარშალ ვორონოვის და გენერალ-პოლკოვნიკ როკოსოვსკის ულტიმატუმი.

პაულიუსი ტყვედ წამოიყვანეს დიდი ოსტატობით.

მხედრავებმა ზუსტად გამოარკვიეს, რომ პაულიუსის საკომანდო პუნქტი სტალინგრადის ცენტრში იყო. შეიტყეს ყველაფერი—რამდენი ოფიცერი იყო მის საკომანდო პუნქტში, სად იდგა შტაბის ავტომობილები, როგორი იყო დაცვა. პაულიუსს დიდი მცველი რაზმი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ამ რაზმმა ვერ იხსნა იგი ტყვედ ჩავარდნისაგან.

ოპერაცია დაიწყო 30 იანვარს ღამით, სანამ ბრძოლა სწარმოებდა. ოპერაცია სწორედ იმ ადგილებში გაიშალა, სადაც ყველაზე უფრო გააფთრებული ბრძოლა იყო.

ღამით პაულიუსის საკომანდო პუნქტთან ტანკები და მეავტომატეები გაიჭრნენ. განთიადისათვის სახლი ბლოკირებული იყო, ხოლო მთელი მცველი რაზმი მოსპობილი. გენერალ-პოლკოვნიკ პაულიუსს ის-ის იყო მეღელი ჰიტლერისაგან რადიოგრამა, რომელშიც ფიურერი ულოცავდა პაულიუსს მესამე იმპერიის ფელდმარშლის რანგის მიღებას.

ახლად გამომცხვარ ფელდმარშალს გათენებამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ სახლი, რომლის სარდაფშიც იგი იდგა, გარშემორტყმული იყო და მთელი კავშირგაბმულობა ჩვენს ხელში იყო. ხოლო როდესაც ეს სავალალო ფაქტი გამოირკვა, პაულიუსმა თავისი ადიუტანტი გამოგზავნა კაპიტულაციის შესახებ მოლაპარაკების გასამართავად.

და აი დილის 10 საათზე ჩვენი რწმუნებულნი, ჩვენი მეავტომატეების თანხლებით, რომლებსაც ციცხლქვეშ ჰქონდათ მოქცეული სახლის ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი, ფელდმარშლის საკომანდო პუნქტში წავიდნენ.

იქ თითქმის მთლად ბნელოდა. ხოლო როდესაც სინათლე აანთეს, ამ განსაკუთრებული ამბის მოწმეებმა შეამჩნიეს დიდი არევ-დარევა, რაც სარდაფში სუფევდა. აქ ბრბოდ იდგნენ გენერლები და პოლკოვნიკები, გაუპარსავნი, ჭეარტლისაგან გაშავებულნი, ტელეფონისტი ამაოდ ეძახდა თავის ნაწილებს: კავშირგაბმულობის მავთულები ყველა მიმართულებით წინასწარ იყო გადაჭრილი ჩვენი ტანკისტებისა და მეავტომატეების მიერ.

ფელდმარშალი გამოვიდა გენერლის სრულ ფორმაში გამოწყობილი, მოღუშული სახით.

თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ სხვანაირი განწყობილებისათვის ფელდმარშალს, მიზეზი არ მოეპოვებოდა. მან დაჰკარგა მთელი ჯარები, მთელი ტექნიკა.

ასე დამთავრდა ჰიტლერული გერმანიის ყოველდ სამარცხვინო დამარცხება.

ნიკოლოზ ვირტა

(მოთავსებულია „ბრავდის“ 4/II ნომერში).

ROGOR WAMOIYVANES FYVEDI KAULIUSI

STALINGRADI, 3 თებერვალი. ახლა დაწვრილებით ცნობილი გახდა, თუ როგორ წამოიყვანეს ტყვედ გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი და სხვა გენერლები.

ტყვედ წამოყვანილ მტრის გენერლებს შორის არის რუმინეთის 1-ლი საკავალერიო დივიზიის მეთაური გენერალი ბრატესკუ.

როდესაც მას შეკითხნენ:

— თქვენი ცხენები სადღა არიან, ბატონო კავალერიის გენერალო?—ბრატესკუმ უპასუხა:

— ისინი გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსს ჯარისკაცებმა შეთქვლიფეს.

ჩვენ მოწმენი ვიყავით რუმინელ და გერმანელ გენერალთა კინკლობისა. გერმანელი გენერლები ყველა რუმინელს ზიზღით ეკახდნენ ქურდებს, რუმინელები კი თავის მოკავშირეებს ჯალათებსა და მძარცველებს უწოდებდნენ.

და ისინი ყველანი ლანძღავდნენ თავის სარდალს გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსს იმისათვის, რომ მან დაუმალა მათ არტილერიის, მარშალ ვორონოვის და გენერალ-პოლკოვნიკ როკოსოვსკის ულტიმატუმი.

პაულიუსი ტყვედ წამოიყვანეს დიდი ოსტატობით.

მხედრავებმა ზუსტად გამოარკვიეს, რომ პაულიუსის საკომანდო პუნქტი სტალინგრადის

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 12 თებერვალი (საკ.ფსი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა საომარი მდგომარეობის შესახებ.

ძირითადი მიზანი, რასაც ჩვენ ვისახავდით კასაბლანკაში გამართულ კონფერენციაზე, — სთქვა მან, — ის იყო, რომ რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით და რაც შეიძლება ჩქარა შევებით მოწინააღმდეგის ძალებს ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში. იმის საჭიროებას, რომ უფრო ახლო მივადგეთ მტერს და გავაძლიერთ ბრძოლა, ყველა სხვა მოსაზრებასე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომლებიც შეიძლებოდა ჩვეულებრივ თავისთავად გადამწყვეტი ყოფილიყო. ჩვენ ყველა ფიზიკურად შესაძლებელი და გონივრული საშუალებით უნდა ეულტიმოთ და სისხლისაგან დავიცალოთ მტერი ისევე, როგორც იქლიტება და სისხლისაგან იცლება იგი რუსეთის მთელ ვრცელ ფრონტზე თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი სიძნელენი უნდა გადალახონ, და დაწვრილებით შეჩერდა წყალქვეშა ომზე.

ინგლისისა და ამერიკის მთავრობებმა ყველა თავიანთ გეგმაში პირველი ადგილი დაუთმეს წყალქვეშა ომის საფრთხის - დაძლევის ამოცანას. ეს ბელს ფრიად დიდი ზარალი მოგვდის, რაც ხელს გვიშლის და აბრკოლებს ჩვენს ოპერაციებს. მაგრამ წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში ჩვენ უპირატესობა მოვიპოვეთ და მეტიც კი შევძელით.

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ახალი გემების მშენებლობამ, მათ შორის ამერიკის გემთმშენებლობამ და კანადის დიდმა გემთმშენებლობამ 1.250.000 ტონაზე მეტით გადააჭარბა გაერთიანებული ერების ყველა ზარალს, ხოლო უკანასკნელი ორი თვის ზარალი ყველაზე უფრო ნაკლები იყო იმ ზარალზე, რაც კი ერთი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მოგვივიდა. გერმანიის წყალქვეშა ნავების რიცხვი იზრდება, მაგრამ იზრდება მათი ზარალიც და უმჯობესდება როგორც მათზე თავდასხმის ხერხები, ისე მათგან ქარავნების დაცვის მეთოდები. მაგრამ, განაგრძო ჩერჩილმა, ჩვენ ვეღარ დავუშვებთ მომავალში ასეთი მასშტაბის ზარალს, თუნდაც მას ახალი შენებლობა ანაზღაურებდეს.

თუ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ღონისძიებებს არ შეასუსტებენ და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლა თავის პირველ ადგილს შეინარჩუნებს ჩვენს გეგმებში და ჩვენს მოქმედებაში, მე პასუხისმგებლობას კისრულობ,—ამბობს ჩერჩილი,—დავარწმუნო თემთა პალატა, ხოლო აქამდე მე იგი შეცდომაში არ შემიყვანია, რომ ნაოსნობის ხნრივ 1943 წლის დამლეგს ახლანდელზე უკეთესი მდგომარეობა გვექნება. და თუმცა გაუფრთხილებლობა იქნებოდა ეცდილიყავით შორს განგვეკვრიტა მომავალი, მიუხედავად ამისა, ყველა ტენდენცია იმას მოწმობს, რომ თუ სრულიად ახალი და მოულოდნელი რამ არაფერი მოხდა ამ კარგად შესწავლილ დარგში, მაშინ 1944 წლის დამლეგს ჩვენ კიდევ უფრო კარგი მდგომარეობა გვექნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ომი ამ დრამდე გასტანს.

რაც უფრო ნაკლებ გემებს დავკარგავთ, მით უფრო ინტენსიური შეიძლება იყოს ინგლის-ამერიკის სამხედრო ღონისძიებანი. ტონაჟის გადიდება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მძლავრად ვუტრაფეთ მტერს. თუ რამდენად გადააჭარბებს ზარალს ახალი გემების შენებლობა, ამაზეა დამოკიდებული იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც შეგვიძლია მოვხსნათ რუსეთს, და ის, თუ რამდენად ძალე დამთავრდება ომი.

დე მტერმა, თუ კი მას სურს, ამაო იმედი იქონიოს იმისა, რომ წყალქვეშა ომის გზით თავიდან აიცილებს დაღუპვას. იგი ამ დაღუპვას ვერ აიცილებს, მაგრამ შეუძლია მისი დადგომის ეტაპი გადასდოს, და ჩვენი საქმეა ყველა შესაძლებელი ღონისძიების გამოყენების გზით შევამოკლოთ ეს ვადა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდამშვიდებით და ფხიზლად იქნა გათვალისწინებული ყველა მომენტი, რომლებზეც, რასაკვირველია, დამოკიდებულია ჩვენი სიცოცხლისა და თავისუფლების შენარჩუნება, პრეზიდენტმა ჩემი, როგორც სამხედრო კაბინეტის წარმომადგენლის, სრული თანხმობით, გადასწყვიტა, რომ კასაბლანკაში გამართული კონფერენციის ძირითადი პრინციპია სრული და უსიტყვო კაპიტულაცია მოვთხოვოთ ყველა ჩვენს მტრებს. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა უსიტყვო კაპიტულაციისა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ძლევამოსილი იარაღი შევბღალოთ მთელი მოსახლეობისადმი უსამართლო და სასტიკი მოპყრობით, მაგრამ დამნაშავენი მართლმსაჯულებას უნდა გადაეცნენ. და ეს მართლმსაჯულება სასტიკი და ულმობელი უნდა იყოს. ნაცისტური და ფაშისტური ძალიერებისაგან და იაპონიის სამხედრო მანქანისაგან ჩვენ არ უნდა დავტოვოთ არავითარი კვალი, როცა საქმე გაკეთებული იქნება, საქმე კი უთუოდ იქნება გაკეთებული.

ახლა ჩვენ ამოშუბრავი გეგმა გვაქვს მოქმედებისა; ეს გეგმა განსაზღვრავს შეიარაღ